



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
აკადემიური საბჭო  
დადგენილება №01-05-04/24

ა. თბილისი

18 მაისი 2022წ

2022 წელს (საშემოდგომო მიღება) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები  
კონტინგენტის რაოდენობის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-21 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის, უწყვეტი განათლებისა და კარიერული განვითარების დეპარტამენტის უფროსის ედიშერ კვეციტაძის მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2022 წლის 18 მარტის №01-05-02/08 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. 2022 წელს (საშემოდგომო მიღება) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტის რაოდენობა განისაზღვროს 399 ადგილით, მათ შორის:

1. სამრეწველო ავტომატიზაცია – 17 ადგილი;
2. ბეჭდვითი მედიატექნოლოგიები – 17 ადგილი;
3. ჰაერის კონდიციონირება – 15 ადგილი;
4. საოფისე საქმე – 30 ადგილი;
5. სატვირთვო გადაზიდვების ლოგისტიკა – 15 ადგილი;
6. ღონისძიების ორგანიზება – 30 ადგილი;
7. ავტომობილის ელექტრული სისტემების შეკეთება – 15 ადგილი;
8. ავტომობილის ძრავის შეკეთება – 15 ადგილი;
9. საბაჟო საქმე – 15 ადგილი;
10. გრაფიკული დიზაინის შესრულება – 12 ადგილი;

11. ხის მხატვრული დამუშავება – 15 ადგილი;
12. სარკინიგზო გადაზიდვები – 18 ადგილი;
13. მექანიკის ინჟინერიის ტენიკოსი – 20 ადგილი;
14. მექატრონიკა – 12 ადგილი.
15. ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობათა წარმოება – 24 ადგილი;
16. სამკერვალო წარმოება - 30 ადგილი;
17. მაღალი ძაბვის ელექტრომექანიკოსი – 8 ადგილი;

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო გეოლოგიური ფაკულტეტის ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიური ინსტიტუტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე:

1. სამთო ტექნიკოსი - 23 ადგილი;
  2. სამთო ელექტრომექანიკოსი – 24 ადგილი;
  3. მყარი წიაღისეულის გამდიდრების ტექნოლოგიის სპეციალისტი – 9 ადგილი;
  4. მღებავი – 10 ადგილი;
  5. მებათქაშე – 10 ადგილი;
  6. ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა – 15 ადგილი.
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

დ. გურგენიძე

აკადემიური საბჭოს მდივანი

ი. კუტუბიძე